ოქტომბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

შეხვედრა ქართული საკვირაო სკოლა „ლამპარის“ მასწავლებლებთან დუბლინში

1 ოქტომბერს, ირლანდიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გიორგი ზურაბაშვილმა შეხვედრა გამართა დუბლინში მოქმედი ქართული საკვირაო სკოლის "ლამპარი" დირექტორთან, ანელი აწკარუნაშვილთან და სკოლის მასწავლებლებთან: ეკა ფეიქრიშვილთან, ქეთევან ჯიღაურთან და თეა ლიპარტელიანთან. გიორგი ზურაბაშვილმა მათ ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა, საკვირაო სკოლის პედაგოგებს მადლობა გადაუხადა თავდაუზოგავი შრომისათვის და წარმატებული სასწავლო წელი უსურვა.

გიორგი ზურაბაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ საზღვარგარეთ ქართული ენის პოპულარიზაცია, საქართველოს კულტურული დიპლომატიის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს და ამ კუთხით, უმნიშვნელოვანესია სკოლის მასწავლებლების საქმიანობა. მათი დახმარებით ირლანდიაში ქართული დიასპორის ახალგაზრდა თაობას შესაძლებლობა აქვს სრულყოფილად დაეუფლოს ქართულ ენას, გაეცნოს და ეზიაროს საქართველოს ისტორიას და ქართულ კულტურას. ელჩმა აღნიშნა, რომ არის შემთხვევები, როდესაც ქართულის ენის შესწავლით ინტერესდებიან შერეული, ირლანდიურ-ქართული ოჯახის ბავშვებიც. მასწავლებლებმა ისაუბრეს სკოლის სამომავლო გეგმებზე, რაც ირლანდიაში ქართული ენის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

საელჩოში გამართულ შეხვედრაზე საუბარი შეეხო 2-6 სექტემბერს ენების ევროპული დღის საერთაშორისო მასშტაბით აღნიშვნის მნიშვნელობას და ასევე, აღინიშნა, რომ უკვე ტრადიციულად, ქართული ენა წარმოდგენილია ენების ევროპული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე სხვადასხვა ქვეყანაში.

საკვირაო სკოლის მასწავლებლებს გადაეცათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ქართული ენისა და ანბანის პოპულარიზაციისათვის გამოცემული ილუსტრირებული ბროშურები და 2020 წლის კალენდრები.

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის შეხვედრა ქართულ დიასპორასთან ვარშავაში

2 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, სოფიო ქაცარავა, პოლონეთის რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში პოლონეთში მცხოვრებ ქართულ დიასპორას და ქართველ სტუდენტებს შეხვდა, რომლებიც პოლონეთის უნივერსიტეტებში სახელმწიფო სტიპენდიით სწავლობენ.

სოფიო ქაცარავამ პოლონეთის ქართული დიასპორის წარმომადგენლებს ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები, საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმატებით განხორციელებული რეფორმები და ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები გააცნო, ისაუბრა იმ ძირითად მიმართულებებზე, რომელსაც სახელმწიფო დიასპორის კუთხით ახორციელებს.

შეხვედრაზე, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, ყურადღება გამახვილდა სახელმწიფოსა და დიასპორას შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

ევროკავშირის ლიტერატურული პრემიის დაჯილდოების ცერემონია ბრიუსელში

3 ოქტომბერს, ბელგიის სამეფოში საქართველოს საელჩომ ევროკავშირის ლიტერატურული პრემიის პირველი ქართველი გამარჯვებულის, ბექა ადამაშვილის ლიტერატურულ საღამოს უმასპინძლა. ღონისძიება საქართველოს ელჩმა, ნატალი საბანაძემ გახსნა. ბექა ადამაშვილმა ისაუბრა თავისი წიგნის და შემოქმედების შესახებ. ასევე, დამსწრე საზოგადოებას გააცნო ამონარიდები რომანიდან ,,ამ რომანში ყველა კვდება“. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ევროკავშირის ლიტერატურული პრემია ტარდება ევროპისა და საერთაშორისო წიგნის გამავრცელებელთა ფედერაციის (EIBF), ასევე, ევროპის მწერალთა საბჭოს (EWC) და ევროპელ გამომცემელთა ფედერაციისაგან (FEP) შემდგარი კონსორციუმის ორგანიზებითა და ევროკომისიის მხარდაჭერით. გამარჯვებული ავტორების ტექსტები გამოიცემა ინგლისურად და ფრანგულად და გამოქვეყნდება ერთ კრებულად.

ევროკავშირის ლიტერატურული პრემია აჯილდოებს და აღიარებს ლიტერატურული ნიჭით დაჯილდოებულ ახალბედა ავტორებს, ხაზს უსვამს თანამედროვე ევროპული ლიტერატურის სიმდიდრეს და, იმავდროულად, ყურადღებას ამახვილებს კონტინენტის უნიკალურ კულტურულ და ლინგვისტურ მემკვიდრეობაზე.

შეხვედრა საქართველოს შვედ მეგობართა საზოგადოებასთან სტოკჰოლმში

3 ოქტომბერს, სტოკჰოლმში, ორგანიზაციაში „Kulturfyren“ გაიმართა საქართველოს შვედ მეგობართა საზოგადოების მორიგი შეხვედრა. საქართველოს შვედ მეგობართა საზოგადოება 2009 წელს საელჩოს ხელშეწყობით დაფუძნდა და მისი მიზანი შვედურ-ქართული ურთიერთობების გაღრმავება და საქართველოს შესახებ შვედეთში ცნობადობის ამაღლებაა.

საზოგადოების თავმჯდომარემ სვენ ჰოლმსტრომმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას. შეხვედრაზე ამ საზოგადოების წევრებმა ელსა და სტეფან მატსონებმა, რომლებიც საქართველოში ხშირად მოგზაურობენ, სტუმრებს მიაწოდეს ინფორმაცია საქართველოში მათი მოგზაურობის შესახებ და ასევე ისაუბრეს ქართველი ხელოვანების ნამუშევრების გამოფენის მოწყობის შესახებ შვედეთში. ღონისძიებაში მონაწილეობა ასევე მიიღო საქართველოში მოღვაწე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ოლივერ რაისნერმა, რომელიც ამჟამად უფსალას უნივერსიტეტის მიწვეული მკვლევარია. მან დამსწრე საზოგადოებას ქართველი ფოტოგრაფების თვალით დანახულ საქართველოსა და 1989 წლიდან საქართველოში განვითარებულ გარდაქმნებზე ისაუბრა.

ღონისძიების მეორე ნაწილი ანასტასია ლუნდქვისტისა და შარლოტ ფრუთის მიერ ქართული სამზარეულოს შესახებ მომზადებული წიგნის პრეზენტაციასა და წარმოშობით ქართველი რეჟისორის, ლევან აკინის მიერ გადაღებული ფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ“, განხილვას დაეთმო.

შეხვედრას ესწრებოდნენ შვედეთის სამეფოში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმოამდგენლები. შეხვედრის დასასრულს გაიმართა მიღება, სადაც საელჩო სტუმრებს ქართული ღვინით გაუმასპინძლდა.

საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილის შეხვედრა დიასპორის წარმომადგენლებთან სეულში

29 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის ჩათვლით, ქ. სეულში, ორგანიზაცია ASEM-ის ეგიდით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „გლობალური დაბერებისა და ხანდაზმულ პირთა უფლებების შესახებ“ (4th ASEM Conference on Global Aging and Human Rights of Older Persons), რომელსაც დაესწრო საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე, თამარ გვარამაძე თანმხლებ დელეგაციასთან ერთად. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, სახალხო დამცველის პირველი მოადგილის თხოვნით, საქართველოს საელჩოში მოეწყო შეხვედრა კორეის რესპუბლიკაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთან.

შეხვედრაზე თამარ გვარამაძემ გვარამაძემ დამსწრე პირებს მიაწოდა მოკლე ინფორმაცია უცხოეთში მცხოვრები მოქალაქეების უფლებათა დაცვის კუთხით ომბუდსმენის აპარატის მიერ ჩატარებული სამუშაოების შესახებ, აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში არსებული გამოწვევების და ხსენებულთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ინიცირებული პროექტების შესახებ. შეხვედრის დასასრულს, მოქალაქეებს საშუალება მიეცათ კითხვა-პასუხის რეჟიმში მიეღოთ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე.

კახის რაიონის ქართულ საშუალო სკოლას საჩუქრები გადაეცა

4 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობის სახელით, კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს შოთა რუსთაველის სახელობის ახლად აშენებული ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეებს გადაეცათ სხვადასხვა სახის საჩუქარი. ჰუმანიტარული აქციის განხორციელების მიზნით, კახის რაიონს ეწვივნენ: საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლაშა დარსალია, საქართველოს ელჩი ზურაბ პატარაძე, საქართველოს გენერალური კონსული ქ. განჯაში ნიკოლოზ იაშვილი, საელჩოსა და გენ. საკონსულოს წარმომადგენლები, აგრეთვე რეგიონში იმყოფებოდა საქართველოს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გადამღები ჯგუფი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის საჩუქარი გადაეცა სკოლის უკლებლივ ყველა მოსწავლეს. დაწყებითი კლასების მოსწავლეები (პირველიდან მესამე კლასის ჩათვლით), დასაჩუქრდნენ სასკოლო ჩანთებითა და საკანცელარიო ნივთების მრავალფეროვანი ნაკრებით, ხოლო მეოთხედან მეთერთმეტე კლასების ჩათვლით, მოსწავლეებს გადაეცათ სპორტული ტანსაცმლის კომპლექტი. ასევე სკოლას

საჩუქრად გადაეცა რუკები, გლობუსები, ქართველი კლასიკოსი მწერლების პორტრეტები, ქართულენოვანი მხატვრული ლიტერატურა და სხვადასხვა სახის სასწავლო თვალსაჩინოებები. საქართველოს ელჩმა, ზურაბ პატარაძემ ქართული სკოლის დირექციას საჩუქრად გადასცა უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“. სკოლაში გამართულ ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდა კახის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი მამა პეტრე.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს ელჩმა, საქართველოს მთავრობის სახელით, საჩუქრები გადაეცა ქ. კახის რაიონის სოფ. ალიბეგლოს ქართულ საბავშვო ბაღს და ქ. კახის ქართულ ბაგა-ბაღს.

ჰუმანიტარული აქციის მომზადებაში საკუთარი წვლილი შეიტანეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და პრეზიდენტის ადმინისტრაციამ.

ქართული შემოდგომა ტაშკენტში

5 ოქტომბერს, ქ. ტაშკენტში, ქართული დიასპორის წარმომადგენლებისა და საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, გაიმართა ქართული კულტურის, ღვინისა და რთველისადმი მიძღვნილი სახალხო ზეიმი - „ქართული შემოდგომა ტაშკენტში“.

ქართული კულტურის ტრადიციულ ზეიმში მონაწილეობა მიიღეს უზბეკეთის რესპუბლიკაში არსებულმა ქართული დიასპორული ორგანიზაციების წევრებმა, საქართველოს საელჩოს თანამშრომლებმა, უზბეკეთში აკრედიტებული რიგი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებმა და ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა. ღონისძიების ფარგლებში, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საქართველოს საელჩოს კონსულმა გიორგი ბოჭორიშვილმა და ქართული დიასპორის თავმჯდომარის მოადგილემ ზ. სულაკაძემ. გამომსვლელებმა თავიანთ სიტყვაში ისაუბრეს ორ ქვეყანას - საქართველოსა და უზბეკეთის რესპუბლიკას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებზე და ხაზი გაუსვეს ხალხთაშორისი კონტაქტებისა და ქართული დიასპორის საქმიანობის მნიშვნელობას.

ქართული საღამო გრაცის მუსიკალურ ფესტივალზე

5 ოქტომბერს, ქ. გრაცის „Kongressaal“-ში, მუსიკალურ ფესტივალ "ORF musikprotokoll“-ის ფარგლებში, გაიმართა ქართველი კომპოზიტორის, მიხეილ შუღლიაშვილის ნაწარმოების - „Polychronia“ მსოფლიო პრემიერა. ნაწარმოები შეასრულა ავსტრიის რადიოს, ORF-ის სიმფონიურმა ორკესტრმა. ეს ნაწარმოები მიხეილ შუღლიაშვილმა 40 წლის წინ შექმნა, თუმცა მას არ მიეცა საშუალება ის ფართო საზოგადოებისთვის წარედგინა. დღეს ეს შესაძლებელი გახდა ORF-ის ხელმძღვანელობის დამსახურებით.

ფესტივალის ფარგლებში აგრეთვე შესრულდა მიხეილ შუღლიაშვილის საფორტეპიანო ნაწარმოები - "Grosse Chromatische Fantasie“, შვეიცარიაში მღვაწე ქართველი პიანისტების თამარ ჩიტაძისა და თამარ კორძაიას შესრულებით. საღამოს დასასრულს, მსმენელებს საშუალება ჰქონდათ მოესმინათ ინოლა გურგულიას სიმღერებისთვის, მისი შვილის დავით შუღლიაშვილის ოჯახის შესრულებით. ღონისძიებას ასევე ესწრებოდა საქართველოს ელჩი ავსტრიაში დავით დონდუა.

„თბილისობა ოდესაში - 2019“

5 ოქტომბერს, ქ. ოდესაში, საქართველოს საკონსულოს, კონსულის თორნიკე ბერეკაშვილისა და უკრაინაში საქართველოს ახალგაზრდა ელჩის სანდრო თოფურიას ორგანიზებით, გაიმართა ქართული კულტურის ფესტივალი „თბილისობა ოდესაში - 2019“.

„თბილისობის“ აღსანიშნავ ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წევრები, ქ. ოდესაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, ადგილობრივი თვითმართველობისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები და ოდესის მაცხოვრებლები.

ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი კულტურულ-გასართობი სახის პროგრამა, მათ შორის, მოეწყო ქართული ტრადიციული სუვენირებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენები, ქართული ღვინის დეგუსტაცია, კულინარიული მასტერ კლასები, ვიქტორინები და სხვა.

ფესტივალის სტუმრებს საშუალება ჰქონდათ უშუალოდ ადგილზე გასცნობოდნენ საწნახელში ყურძნის დაწურვის უძველეს ქართულ ტრადიციას და დაემზადებინათ ქართული ტკბილეული - ჩურჩხელა.

ღონისძიების საკონცერტო პროგრამა დაიწყო ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, გია ყანჩელის ხსოვნისადმი პატივის მიგებით.

მაყურებლის წინაშე სხვადასხვა მუსიკალური და საცეკვაო ნომრებით წარსდგნენ ოდესაში მოქმედი უკრაინის ხალხური მხატვრული კოლექტივი, ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი „საქართველო“, მომღერალი ნიკოლას უჩავა, ასევე ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის - „ივერია“ და მასთან არსებული საკვირაო სკოლის - „ანა-ბანა“ ნორჩი წარმომადგენლები და მათი უკრაინელი მეგობრები - ეროვნული კაზაკური გუნდი - „Козацьке коло“.

აღსანიშნავია, რომ ქ. ოდესაში სპეციალურად "თბილისობის" აღსანიშნავად საქართველოდან ჩავიდნენ ქართული ესტრადის ვარსკლავები - მომღერალი ნინო ჩხეიძე, მუსიკოსი და მსახიობი გიორგი გილიგაშვილი და ჯგუფი “DUDU BAND”.

ქართული კულტურის ფესტივალი „თბილისობა ოდესაში 2019“ გაიმართა ადგილობრივი ქართველი ბიზნესმენების აქტიური მხარდაჭერით.

„თბილისობა ანდრეევსკის დაღმართზე“ კიევში

5-6 ოქტომბერს, უკრაინის დედაქალაქში, კიევის მერიისა და უკრაინაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით და ადგილობრივი ქართული დიასპორული ორგანიზაციების მონაწილეობით, გაიმართა „თბილისობის“ აღსანიშნავი ტრადიციული ფესტივალი „თბილისობა ანდრეევსკის დაღმართზე“.

ფესტივალის ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა უკრაინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა თეიმურაზ შარაშენიძემ. სიტყვით გამოსვლისას ელჩმა ისაუბრა ორი ქვეყნის - საქართველოსა და უკრაინის ისტორიისა და აწმყოს შესახებ და ყურადღება გაამახვილა კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროებში ურთიერთობების განვითარების აუცილებლობაზე. თეიმურაზ შარაშენიძემ ასევე ხაზგასმით აღნიშნა საქართველოსა და უკრაინას შორის არსებული დიდი მეგობრობა და მადლობა გადაუხადა ქ.კიევის მერიას და ფესტივალის ორგანიზატორებს ყოველწლიურად „თბილისობის“ დღესასწაულის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის.

ფესტივალის ფარგლებში, მაყურებლის წინაშე წარსდგნენ ქართველთა და უკრაინელთა შემოქმედებითი კოლექტივები ორი ქვეყნის ნაციონალური ცეკვებითა და მუსიკალური ნომრებით, ასევე მოეწყო სხვადასხვა სახის კულტურულ-გასართობი ღონისძიებები - კონკურსები, ვიქტორინები, გამოფენები, ქართული ღვინისა და კერძების დეგუსტაცია.

აღსანიშნავია, რომ ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, უკრაინელი და ქართველი ხელოვანების მიერ ფესტივალზე ასევე შესრულებულ იქნა მისი ნაწარმოებები.

კიევში „თბილისობის“ დღესასწაულის აღნიშვნა ტრადიციულ სახეს ატარებს და წელს იგი უკვე მერვედ ჩატარდა. ანდრეევსკის დაღმართზე გამართულ ქართული კულტურის რიგით მე-8 ფესტივალს ორი დღის განმავლობაში ათასობით ადამიანი ესწრებოდა.

კულტურული მრავალფეროვნების დღე დანიის სამეფოში

5 ოქტომბერს, დანიის სამეფოში ფრედერიკსბერგის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, გაიმართა კულტურული მრავალფეროვნების დღე, რომელშიც დანიის სამეფოში საქართველოს საელჩომ და ქართული დიასპორის წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა.

დამთვალიერებელს ქართულ კუთხეში საშუალება ჰქონდა, მიეღო ინფორმაცია ქართული კულტურისა და საქართველოს ტურისტული შესაძლებლობების შესახებ. წინა წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ქართული სამზარეულო და ღვინო. შესაბამისად, ინფორმაციული ხასიათის ბუკლეტებისა და ბროშურების გარდა, საქართველოს საელჩომ დამთვალიერებელს ქართული კერძების, ნუგბარის, ღვინის, ლიმონათისა და მინერალური წყლის დაგემოვნების საშუალება მისცა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ფრედერიკსბერგის მერი, კოპენჰაგენში აკრედიტებული საელჩოების დიდი ნაწილი და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ფონდ World of Diaspora-ს პრეზენტაცია ამსტერდამში

5 ოქტომბერს, ამსტერდამში, ქართული დიასპორის წარმომადგენლების, ლალი ბუთბაიას, იზოლდა კვიციანისა და ნინო უბილავას ინიციატივით, ახალი დიასპორული ორგანიზაცია - „World of Diaspora“ დაარსდა. ღონისძიებაზე, ორგანიზაციის დამფუძნებლებმა დამსწრე საზოგადოებას სამომავლო გეგმები გააცნეს. ორგანიზაციის მიზანია მიგრაციის და ემიგრაციის საკითხებზე მუშაობა, კულტურული და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, როგორც ნიდერლანდების სამეფოსა და საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებში. საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს ელჩმა, გიორგი შარვაშიძემ და ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე დოსითეოსმა. მათ წარმატება უსურვეს ახალ დიასპორულ ორგანიზაციას. საქართველოს ელჩმა აღნიშნა, რომ დიასპორული ორგანიზაციების გაძლიერება, უცხოეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულეების კონსოლიდაცია ჩვენი ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხების გარშემო, მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა

ქვეყნის განვითარების პროცესში თუ არსებული გამოწვევების დაძლევაში, უკიდურესად მნიშვნელოვანია და სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ელჩმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს საელჩო ნიდერლანდების სამეფოში კვლავაც აქტიურად დაუჭერს მხარს ნებისმიერ საინტერესო წამოწყებას, რომელიც საქართველოს პოზიტიური იმიჯის განმტკიცებას შეუწყობს ხელს.

ღონისძიების ფარგლებში, ახლადდაარსებული დიასპორული ორგანიზაციის ორგანიზებით, მომღერალ ლაშა ღლონტისა და ანსამბლ „მესხეთის“ კონცერტი გაიმართა. ღონისძიება ანსამბლ „მესხეთის“ მრავალჟამიერით გაიხსნა.

ფოტოგამოფენა „ქალები ომში“ სტოკჰოლმში

5 ოქტომბერს, სტოკჰოლმში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტის - „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ გამარჯვებულის შვედეთის სამეფოში, შვედეთის სამხედრო აკადემიის მაგისტრანტის, მარიამ ორჯონიკიძის ინიციატივითა და გალერეა “Majkens”-ის ორგანიზებით, გალერეა “Korn”-ში გაიხსნა ფოტოგამოფენა - „ქალები ომში“.

გამოფენა ფოტოგრაფ დინა ოგანოვასა და მწერალ სალომე ბენიძის ერთობლივი ფოტოწიგნის - “sHEROes” წარდგენას მიეძღვნა. ფოტოწიგნი “sHEROes” 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს ეხება და მისი მთავარი გმირები განსხვავებული წარსულის, ასაკის, პროფესიისა

და გამოცდილების მქონე ქალები არიან, რომელთა ცხოვრებაც ომმა სამუდამოდ შეცვალა; ქალები, რომლებიც იბრძოდნენ, რომელებსაც ომის დღეებში არ დაუტოვებიათ თავიანთი სახლები, რომლებმაც არაერთი სიცოცხლე გადაარჩინეს და მიუხედავად გადატანილი ტრაგედიისა, შეძლეს, ცხოვრება თავიდან დაეწყოთ; ნანგრევებზე ახალი სახლები აეშენებინათ და სხვებსაც დახმარებოდნენ ფეხზე წამოდგომაში.

ღონისძიება შვედეთში საქართველოს საელჩოს, საქართველოს მწერალთა სახლის, “Kvinna Till Kvinna” და “Iberia Travel” მხარდაჭერით გაიმართა.

თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა “Fair For Art Vienna”

5 ოქტომბრიდან 13 ოქტომბრის ჩათვლით, ვენაში გაიმართა თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა “Fair For Art Vienna”.

ღონისძიებაში სხვადასხვა ქვეყნის მხატვრებთან ერთად, ასევე წარმოდგენილი იყო ქართველი ხელოვანების რუსუდან ხიზანიშვილისა და გია გუგუშვილის ნამუშევრები.

თანამედროვე ხელოვნების ბაზრობის გახსნას ესწრებოდნენ ავსტრიის აკადემიური და კულტურული წრეების, აგრეთვე, ქართული დიასპორისა და საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები.

“Fair For Art Vienna” არის ავსტრიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და პრესტიჟული თანამედროვე ხელოვნების ბაზრობა, რომელიც დაარსდა 2005 წელს და მას შემდეგ ყოველწლიურად ტარდება ავსტრიის დედაქალაქ ვენაში. ბაზრობა მოიცავს სხვადასხვა ქვეყნების პავილიონებსა და გამოფენებს, დისკუსიებს თანამედროვე ხელოვნების შესახებ, გალერისტების და კოლექციონერების შეხედულებების გაზიარებას თანამედროვე ხელოვნების შესახებ.

საზეიმო წირვა-ლოცვა კახის რაიონში

6 ოქტომბერს, პირველად, ბოლო 120 წლის განმავლობაში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონის სოფ. ქოთოქლოს ახლად ამოქმედებულ წმინდა სამების ეკლესიაში ჩატარდა საზეიმო წირვა-ლოცვა.
აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე, აღნიშნული ტაძარი იყო უმოქმედო და ადგილობრივი ქართველი მართლმადიდებელი მოსახლეობა მოითხოვდა რეგულარული წირვა-ლოცვის განახლებას, რასაც მხარი დაუჭირა აზერბაიჯანის ხელისუფლებამ.
პირველი საღვთო ლიტურღია ჩაატარა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ჰერეთისა და ხორნაბუჯის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ.
საზეიმო წირვას ესწრებოდნენ საქართველოს ელჩი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ზურაბ პატარაძე, საქართველოს საელჩოსა და ქ. განჯაში საქართველოს გენერალური საკონსულოს წარმომადგენლები, ასევე ესწრებოდა კახის რაიონის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი მუსა შექელიევი.
საღვთო ლიტურღიის დასრულების შემდეგ, ზურაბ პატარაძემ, წმინდა სამების ეკლესიის ეზოში, შეხვედრა გამართა ადგილობრივ ქართველ მოსახლეობასთან.

ნიუ-იორკში „თბილისობის“ დღესასწაული აღინიშნა

8 ოქტომბერს, ქ. ნიუ-იორკში, ქართული კულტურის ცენტრის „ფესვების“ ინიციატივითა და ორგანიზებით, „თბილისობის“ დღესასწაული აღინიშნა.
„თბილისობის“ აღსანიშნავი ღონისძიება წელს ბრუკლინში, კინგსბოროუ კოლეჯის ტერიტორიაზე გაიმართა.
ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა დიანა ჟღენტმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები და ადგილობრივი მაცხოვრებლები.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ნაციონალური ცეკვები და ქართული მუსიკალური ნომრები ადგილობრივი ქართული კულტურის ცენტრებისა და ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეობით. ასევე, „თბილისობის“ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად სპეციალურად ნიუ-იორკში სხვადასხვა შტატებიდან ჩავიდნენ ქართველი მომღერლები და მუსიკოს-შემსრულებლები ამასთან, ფესტივალის ფარგლებში, ნიუ-იორკში არსებული ქართული სპორტული სკოლებისა და დიასპორული ორგანიზაციების ჩართულობით მოეწყო

სხვადასხვა სახის კულტურულ-შემეცნებითი და სპორტული აქტივობები ბავშვებისთვის. ქართული კომპანიების მონაწილეობით კი გაიმართა ქართველი მხატვრებისა და დიზაინერების ნამუშევრების, ქართული ტრადიციული სამოსისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.
ნიუ-იორკში „თბილისობის“ ფესტივალი, რომლის მიზანი ქართული კულტურის პოპულარიზაცია და ძლიერი დიასპორის ხელშეწყობაა, უკვე მესამე წელია ტარდება ქართული კულტურის ცენტრის „ფესვების“ ინიციატივითა და აქტიური ძალისხმევით.

ბრიტანულ-ქართული საქველმოქმედო მსვლელობა

6-11 ოქტომბერს, ბრიტანულ-ქართული საზოგადოების ინიციატივით საქველმოქმედო მსვლელობა მოეწყო, რომელიც მოიცავდა ადრიანეს კედლის ისტორიულ გზას ჩრდილოეთ ინგლისში. საქველმოქმედო მსვლელობის ბენეფიციარებს წარმოადგენდნენ ბავშვთა ჰოსპისი საქართველოში და გაერთიანებულ სამეფოში დიაბეტით დაავადებული პირები.

მსვლელობის დასრულებისას ბრიტანულ-ქართული საზოგადოების მიერ გამართულ მიღებას საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, თამარ ბერუჩაშვილი და ნიუქასლის მერი.

ნიუ-იორკის ქართულ საკვირაო სკოლის აღსაზრდელებს ქართული ენის შემსწავლელი სახელმძღვანელოები გადასცა

5 ოქტომბერს, ნიუ იორკში საქართველოს გენერალური კონსული დიანა ჟღენტი ქართული კულტურის ცენტრ "Dancing Crane"-თან არსებულ საკვირაო სკოლას ეწვია და სკოლის პედაგოგებსა და აღსაზრდელებს ქართული ენის შემსწავლელი სახელმძღვანელოები გადასცა.

სახელმძღვანელოები სპეციალურად საზღვარგარეთ არსებული ქართული საკვირაო სკოლებისა და ქართული ენის შემსწავლელი კურსებისთვისაა განკუთვნილი და იგი საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით.

აღნიშნული სახელმძღვანელოები მნიშვნელოვნად დაეხმარება ქართული კულტურის ცენტრ "Dancing Crane"-თან მოქმედ საკვირაო სკოლის აღსაზრდელებს ქართული ენის შესწავლაში, ვინაიდან იგი აგებულია თანამედროვე სწავლების პრინციპებზე და მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სთავაზობს ისეთ სასწავლო მასალას, რომელიც უზრუნველყოფს საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეებისთვის სათანადო ენობრივ-კომუნიკაციური კომპეტენციების ათვისებას და ეხმარება მათ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში.

აღსანიშნავია, რომ ნიუ-იორკში არსებული ქართული კულტურის ცენტრი "Dancing Crane Company" დაფუძნდა ჯერ კიდევ 1996 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორ ვიქტორ სირელსონის მიერ და დაარსების დღიდან იგი აქტიურად ეწევა ქართული ფოლკლორის, ენისა და ისტორიის პოპულარიზაციას აშშ-ში. საკვირაო სკოლისა და ქართული ენის შემსწავლელი კურსების გარდა, ცენტრში ასევე ფუნქციონირებს თეატრალური ჯგუფები და ქართული ცეკვისა და სიმღერის შემსწავლელი კურსები.

ათენის 150-ე საჯარო სკოლაში ამოქმედდა ქართული ენის სწავლების პროგრამა

ქ. ათენის კიდევ ერთ საჯარო სკოლაში ქართული ენის სწავლების პროგრამა ამოქმედდა. 2019 წლის 9 ოქტომბერს, 150-ე საჯარო სკოლის ქართველ აღსაზრდელებს ქართული ენის პირველი გაკვეთილი ჩაუტარდათ, რომელსაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შერჩეული ქართველი პედაგოგები მადონა ჯავახიშვილი, ხათუნა ლობჯანიძე და ნინო ფრუიძე უძღვებოდნენ.

ათენის საჯარო სკოლებში ქართული ენის სწავლება 2017 წლიდან, საბერძნეთის განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით მიმდინარებს. სწავლების პროგრამა დაიგეგმა საბერძნეთის კანონმდებლობისა და საბერძნეთის განათლების სისტემის რეგულაციების შესაბამისად. თავდაპირველად, ქართული ენის სწავლება ქ. ათენის 50-ე საჯარო სკოლაში სატესტო რეჟიმში ამოქმედდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს ჩართულობით.

უკრაინაში საქართველოს შესახებ დოკუმენტური ფილმის ჩვენება გაიმართა

10 ოქტომბერს, ქ. კიევში, საქართველოს საელჩოში, ქართული დიასპორის წარმომადგენელთა ჩართულობით, გაიმართა უკრაინელი კინოდოკუმენტალისტების მიერ შექმნილი ფილმის „მშვიდობისმყოფელნი სვანეთის მთებში“ ჩვენება.
ღონისძიებას ესწრებოდნენ უკრაინელი პილოტები, რომლებმაც 1993 წლის ოქტომბერში ჰუმანიტარული ოპერაციის შედეგად კოდორის ხეობიდან 7 ათასზე მეტი ადამიანი გამოიყვანეს სამშვიდობოს. საელჩოს დარბაზებში გაიშალა დიდი ექსპოზიცია, რომელშიც გამოყენებულ იქნა 1993 წლის მოვლენებთან დაკავშირებული საარქივო მასალები და უკრაინელი ფოტოგრაფის პავლო პაშჩენკოს 1993 წლის ფოტორეპორტაჟი კოდორის ხეობიდან.
ფილმის ჩვენების შემდგომ, ელჩმა თეიმურაზ შარაშენიძემ სამადლობელო სიგელები გადასცა, როგორც შვეულმფრენების პილოტებს - ფილმის გმირებს, ასევე ფილმის გადამღები ჯგუფის წევრებსა და ფოტოგამოფენის ავტორს.

ქ. ბარიში ქართული სპექტაკლის ჩვენება გაიმართა

10 ოქტომბერს, ქ. ბარიში, ასოციაცია „იმედის“ მხარდაჭერით, სიღნაღის თეატრალურმა დასმა წარმოადგინა სპექტაკლი ,,სიკვდილი და ქალწული". სპექტაკლის მთავარი თემა იყო სახელმწიფო რეჟიმის პირობებში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა. სპექტაკლის რეჟისორია მურად ვაშაკიძე. სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა ბარიში მცხოვრებ თანამემამულეებში და სრული ანშლაგით ჩაიარა.
სპექტაკლის დასრულების შემდეგ, ასოციაცია ,,იმედის“ საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს ემიგრანტი პოეტის ანა ბურდულის ლექსი და შეასრულეს საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.

ამსტერდამში ჩელისტ ქეთევან როინიშვილის პირველი დისკის „ნანა“ პრეზენტაცია გაიმართა

11 ოქტომბერს, ამსტერდამში, ჩელისტ ქეთევან როინიშვილის პირველი დისკის „ნანა“ პრეზენტაცია გაიმართა. სადებიუტო ალბომში შესულია ქართველი კომპოზიტორების: სულხან ცინცაძისა და რევაზ ლაღიძის ნაწარმოებებს. ალბომი უკვე იყიდება ნიდერლანდებსა და ევროპაში.
ქართველი მუსიკოსი, ქეთევან როინიშვილი ჰოლანდიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ჩელისტის შესრულებული მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენა ჰოლანდიაში რადიოთი თუ ტელევიზიით ხშირადაა შესაძლებელი. ღონისძიებას საქართველოს ელჩი ნიდერლანდების სამეფოში გიორგი შარვაშიძე დაესწრო.

ანსამბლ "შავნაბადას", სერვანტინოს საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში, საქართველოს საელჩომ და დიასპორამ უმასპინძლა

9-14 ოქტომბერს, მექსიკის შეერთებულ შტატებში, საერთაშორისო ღონისძიების ფარგლებში - სერვანტინოს რიგით 47-ე ფესტივალზე, საქართველოს საელჩოს შუამდგომლობით, მიწვეული იყო აფხაზეთის ა/რ სახელმწიფო ანსამბლი "შავნაბადა", რომელმაც ორი სოლო კონცერტი ჩაატარა.
სახელმწიფო ანსამბლი "შავნაბადა", სერვანტინოს საერთაშორისო ფესტივალის პროგრამის პირველი სტუმარი აღმოჩნდა, რომელმაც ფაქტობრივად გახსნა ამერიკის კონტინენტის ყველაზე ცნობილი კულტურული ღონისძიება პირველი კონცერტით ქალაქ გუანახუატოში, 10 ოქტომბერს.
12 ოქტომბერს მეხიკოში გამართულ კონცერტს კი, სხვა საპატიო სტუმრების გარდა, ქართული დიასპორის წევრები დაესწრნენ, მექსიკელ მეგობრებთან ერთად. ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს ელჩმა ზურაბ ერისთავმა და ისაუბრა მრავალსაუკუნოვან ქართულ მუსიკალურ ტრადიციებზე.

"წმ. ეფრემ ასურის სახელობის აღმოსავლურ-დასავლური სამეცნიერო საღვთისმეტყველო კვლევითი ცენტრის" დაარსება ვენაში

10 ოქტომბერს, ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსის, დოსითეოსის (ბოგვერაძე) ხელმძღვანელობითა და თრუმაუს საერთაშორისო საღვთისმეტყველო ინსტიტუტთან თანამშრომლობით, ვენაში დაარსდა „წმ. ეფრემ ასურის სახელობის აღმოსავლურ-დასავლური სამეცნიერო საღვთისმეტყველო კვლევითი ცენტრი" (St. Ephräm Wissenschaftliches Zentrum für Orient&Okzdient-Studien (STEP). ცენტრის მიზანს წარმოადგენს, ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებისა და თეოლოგების მომზადებას და შესაძლებლობა მისცეს მათ, გაიღრმაონ თეოლოგიური განათლება. სწორედ ამ მიზნით, სამეცნიერო ცენტრი პერიოდულად ორგანიზებას გაუწევს საერთაშორისო სემინარებსა და სიმპოზიუმებს, სადაც ქართველი მეცნიერები უცხოელ კოლეგებთან ერთად საღვთისმეტყველო მეცნიერების სხვადასხვა თემებზე იმსჯელებენ.

აღსანიშნავია, რომ ახლადდაარსებულ სამეცნიერო-კვლევით ცენტრში 11-12 ოქტომბერს პირველი საერთაშორისო საღვთისმეტყველო სიმპოზიუმი გაიმართა, რომელიც მიეძღვნა თემას „ქრისტიანული ჰიმნები, როგორც პოეტური ღვთისმეტყველების ძალა ძველსირიულ, ლათინურ, ბერძნულ და ქართულ ტრადიციებში". ამასთან, ცენტრის დაფუძნების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა თრუმაუს საერთაშორისო საღვთისმეტყველო ინსტიტუტში, სადაც მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ საერთაშორისო თეოლოგები, მათ შორის გერმანიიდან და საბერძნეთიდან.
წმ. ეფრემ ასურის სახელობის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრს ხელმძღვანელობას გაუწევენ, ავსტრიის რესპუბლიკაში მცხოვრები თანამემამულე, თეოლოგი გივი ლომიძე და სამოძღვრო ღვთისმეტყველების გერმანელი პროფესორი მიჰაელა ჰაშთეთერი.

ვილნიუსში „თბილისობის“ დღესასწაული გაიმართა

11 ოქტომბერს, ქ. ვილნიუსის ცენტრალურ ქუჩაზე გაიმართა „თბილისობის“ აღსანიშნავი ღონისძიება.

საქართველოს საელჩო ლიეტუვაში ქართული კულტურისა და ტრადიციების წარმოჩენის მიზნით თბილისობას ვილნიუსში უკვე მეხუთე წელია მართავს. დღესასწაული მისასალმებელი სიტყვით გახსნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლიეტუვაში ლევან ღვაჩლიანმა. მან განსაკუთრებული ხაზი გაუსვა დაძმობილებულ ქალაქებს, თბილისსა და ვილნიუსს შორის სხვადასხვა სფეროში ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ წელს, საქართველოს და ლიეტუვის დედაქალაქები

პარტნიორობის მეათე საიუბილეო წელს აღნიშნავენ. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ქართული ტრადიციული ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა, წარმოდგენილი იქნა ქართული მინერალური და გამაგრილებელი სასმელები, ქართული ნობათი. ვილნიუსელებმა და დედაქალაქის სტუმრებმა დააგემოვნეს ქართული სამზარეულო და მიიღეს მონაწილეობა ხინკლისა და ჩურჩხელის მომზადებაში. თბილისობაზე მოსული სტუმრებისათვის ქართული სიმღერები შეასრულეს ანსამბლ „ქართული ხმების“ წევრებმა. ამასთანავე,

გაიმართა ფოტოგამოფენის „ქართული ეროვნული სამოსის მრავალფეროვნება“ და ლიეტუვაში მოღვაწე ქართველი მხატვრის ნიკოლოზ გამხიტაშვილის ქართული ტიხრული მინანქრის ნამუშევრების გამოფენა. ასევე, წარმოდგენილი იყო „საქართველოს სურნელებისა და ხელოვნების სახლი“ და გაიმართა ლიტვურ ენაზე თარგმნილი ქართული ლიტერატურის - ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, ნიკოლოზ ბარათაშვილის „ლირიკა“, ქართველი პოეტების ანთოლოგიის და ბონდო მიქაბერიძის საბავშვო ზღაპრების პრეზენტაცია.

ღონისძიებას დაესწრნენ ლიეტუვის მთავრობის, პარლამენტის, დიპლომატიური კორპუსის, ასევე ლიეტუვაში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლები და ქართველი სტუდენტები.

ღონისძიება ქ. თბილისისა და ქ. თელავის მერიების, ქ. ვილნიუსის მერიის, ლიეტუვაში საქართველოს საპატიო კონსულის, კაზიმიერას მუსტეიკისის, ლიეტუვაში არსებული ქართული რესტორნების, ასევე, ქართველი სტუდენტების მხარდაჭერით და ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა.

ქართული ღვინის და ხელოვნების საღამო რომში

12 ოქტომბერს, ქ. რომში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტის - „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ გამარჯვებულის იტალიის რესპუბლიკაში ნენო გაბელაიას ორგანიზებით გაიმართა კომპანია „ზილფის“ დამფუძნებლის, ფატი კახნიაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა-გაყიდვა. წარმოდგენილი სამკაულების მთავარი თემა ვაზი და ვენახი იყო.
ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს ნენო გაბელიამ გააცნო საქართველოში არსებული ღვინის ტრადიცია.
ღონისძიება რომის კულტურულ ცენტრში - upter - università popolare di roma გაიმართა.

რთველის დღესასწაული პარიზში

12 ოქტომბერს, ქ. პარიზში, გაიმართა მონმარტრის რთველის დღესასწაული. ღონისძიებაში ტრადიციულად დიასპორულმა ორგანიზაციამ - ასოციაცია „ქართველთა კულტურის კერა ლაზმა“ მეათედ მიიღო მონაწილეობა.
დღესასწაული 5 დღე გრძელდება და მის ფარგლებში გაიმართა დიდი მსვლელობა მონმარტრის ქუჩებში, სადაც ასოციაციის წევრები ღონისძიების მონაწილეების წინაშე ქართული სამოსით წარსდგნენ.

ქართული კულტურის საღამო საფრანგეთში

12 ოქტომბერს, ქ. რენიში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტ - „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ გამარჯვებულის საფრანგეთის რესპუბლიკაში მერი უღრელიძის ორგანიზებით ჩატარდა ღონისძიება, რომლის მიზანი იყო საქართველოს და ქართული კულტურის გაცნობა ადგილობრივი უცხოელი ახალგაზრდებისთვის, ამავდროულად რენიში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებთან შეხვედრა და მათთან ერთად სხვადასხვა აქტუალური თემის განხილვა.
ღონისძიების ფარგლებში, მონაწილეებმა უცხოელ მეგობრებს გააცნეს ქართული, მრავალფეროვანი კულტურა, ტრადიციული ცეკვებით და სიმღერებით.

„საუკეთესო ღვინოების" დეგუსტაცია ბელგიაში

12 ოქტომბერს, ქ. ნიველში, ბელგიური უმსხვილესი მაღაზიათა ქსელის - "Colruyt"-ის ინიციატივით, 100 გამორჩეული ღვინის მეგა დეგუსტაცია გაიმართა. აღნიშნული მაღაზიათა ქსელის მიერ 100 საუკეთესო ღვინოს შორის შეირჩა „გურაშვილის საფერავი". პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ გამარჯვებულმა ბელგიაში ნინო ახალშენიშვილმა, "Colruyt"-ის მიწვევით, უკვე მეორედ მიიღო მონაწილეობა მსგავს მასშტაბურ ღვინის დეგუსტაციაში, რომლის ფარგლებში ბელგიაში მცხოვრებთ გააცნო ქართული ღვინის კულტურა და მისი მრავალწლიანი ისტორია.

პროექტი „ვასურათებთ ქართულ ზღაპრებს“ ესტონეთში

12 ოქტომბერს, ქ. ტალინში, ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს პარტნიორობით, ესტონეთში მცხოვრები ქართული დიასპორის ბავშვებისათვის განხორციელდა პროექტი „ვასურათებთ ქართულ ზღაპრებს“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართული საკვირაო სკოლა „მზიურის“ აღსაზრდელებმა.

ღონისძიება ესტონეთის საბავშვო ლიტერატურის ცენტრში ჩატარდა. პროექტი იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციის იმპლემენტაციის ფარგლებში გაიმართა და მის ძირითად მიზანს კულტურული მემკვიდრეობის გაცნობისა და დაცვის საკითხებით ახალგაზრდა თაობების დაინტერესება და მათი ჩართულობა წარმოადგენდა.

ღონისძიება გახსნა ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა, თამარ მიქაბერიძემ, რომელმაც ისაუბრა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა და მისი დაცვის მნიშვნელობის შესახებ ახალგაზრდა თაობის ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით. ღონისძიების ფარგლებში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა მაკა თაქთაქიშილმა პროექტში მონაწილეებს მიაწოდა საინტერესო და თვალსაჩინო ინფორმაცია არამატერიაური კულტურული მემკვიდრეობისა და საქართველოში მისი დაცვის კუთხით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. გაკვეთილის მსვლელობისას ბავშვებმა მოისმინეს ნაკლებად ცნობილი ქართული ზღაპარი, რომელიც არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს და თავად დაასურათეს იგი. მოგვიანებით სააგენტოს მიერ დაიბეჭდება პროექტში მონაწილე ბავშვების მიერ დასურათებული კრებული, რომელიც მათ საჩუქრად გადაეცემა.

შეხვედრა „ჩივნინგის“ პროგრამის ქართველ სტიპენდიანტებთან ლონდონში

12 ოქტომბერს, ქ. ლონდონში, საქართველოს ელჩმა თამარ ბერუჩაშვილმა წლევანდელი „ჩივნინგის“ სასტიპენდიო პროგრამის გამარჯვებულებს უმასპინძლა. შეხვედრაზე საქართველოს ელჩმა ქართველ სტუდენტებთან ისაუბრა ბრიტანეთსა და საქართველოს შორის სტრატეგიულ ურთიერთობებზე, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა საგანმანათლებლო კავშირების გაღრმავების მნიშვნელობას და წარმატება უსურვა მათ სამომავლო საქმიანობაში.

„ჩივნინგის“ სტიპენდიანტებმა, თავის მხრივ, ისაუბრეს მათ მიზნებსა და სამომავლო გეგმებზე.

აღსანიშნავია, რომ წელს საქართველოდან გაერთიანებულ სამეფოში 13 ახალგაზრდა გაემგზავრა სასწავლებლად.

საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი ექიმების შეხვედრა პრაღაში

12 ოქტომბერს, ქ. პრაღაში, ქართულ-ინტერნაციონალური სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ასოციაციის (GIMPA) ინიციატივით და ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი ექიმების შეხვდა ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და დაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ.

ქართულ-ინტერნაციონალური სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ასოციაცია, რომლის პრეზიდენტიც ნიდერლანდების სამეფოში მოღვაწე ექიმი, პათოლოგ-ანატომი ალექსი ბაიდოშვილია, საქართველოში მედიცინის სფეროს განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. ღონისძიებაში მონაწილეობა 100-მდე ქართველმა ექიმმა და საქართველოდან ჩასულმა სტუდენტებმა მიიღეს. შეხვედრაზე ახალი პროექტების შემუშავებასა და საქართველოში მცხოვრები სამედიცინო პერსონალის გადამზადების საკითხებზე ისაუბრეს. ექიმებმა სტუდენტებს ინოვაციური პროექტები გაუზიარეს, სტუდენტებმა კი თავიანთი ხედვები და ნამუშევრები წარმოადგინეს. შეხვედრის ფარგლებში, ეკატერინე ტიკარაძემ ევროპაში მცხოვრებ ქართველ ექიმებს სიტყვით მიმართა. სიტყვით გამოსვლისას მინისტრმა ყურადღება გაამახვილა საქართველოში დაგეგმილ რეფორმებში თითოეული თანამემამულის მონაწილეობის მნიშვნელობაზე და საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ ექიმებს სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდა. ეკატერინე ტიკარაძემ აღნიშნა, რომ ცხოვრების დიდი ნაწილი თავადაც საზღვარგარეთ გაატარა და კოლეგებთან სამომავლო თანამშრომლობის დიდი სურვილი გამოთქვა. შეხვედრას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე თამარ გაბუნია, ქართული დელეგაციის სხვა წევრები და დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„შემოდგომის ზეიმი“ საფრანგეთში

13 ოქტომბერს, საფრანგეთის რესპუბლიკაში, ქ. რენიში მოქმედ ასოციაციასთან - “მსოფლიოს ხალხები საფრანგეთში” არსებული ქართული საკვირაო სკოლის - “ფესვები” მოსწავლეებმა „შემოდგომის ზეიმი" გამართეს.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციები და ქართული ცეკვები. მომზადდა თათარა, რომელშიც ბავშვებმა ჩურჩხელები ამოავლეს.

რენის საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა ეს დღე, ქართველი კომპოზიტორის, გია ყანჩელის ხსოვნას მიუძღვნეს.

„თბილისობა 2019“ ლონდონში

13 ოქტომბერს, ქ. ლონდონში, მაცხოვრის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის ორგანიზებით, საქველმოქმედო ღონისძიება „თბილისობა-2019“ გაიმართა.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ქართული ხალხური ცეკვები და სიმღერები, თბილისური ჰანგები, ქართული მრავალფეროვანი სამზარეულო და მოეწყო საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა.

„თბილისობა“ ტრადიციულად ქ. ლონდონის მაცხოვრის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის ეზოში ჩატარდა.

შეხვედრა ქართული საკვირაო სკოლის აღსაზრდელებთან დიუსელდორფში

13 ოქტომბერს, ქ. დიუსელდორფში, გაიმართა შეხვედრა წმ. ანთიმოზ ივერიელის სახელობის ქართულ მართმადიდებლურ ეკლესიასთან არსებული, ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეებთან, რომლის ფარგლებში საქართველოს გენერალურმა კონსულმა ლევან დიასამიძემ მათ საჩუქრად გადასცა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შექმნილი სახელმძღვანელოები. შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ დიუსელდორფის წმ. ანთიმოზ ივერიელის ანთიმოზ ივერიელის სახელობის ქართული მართმადიდებლური ეკლესიის მრევლი, წინამძღვარი, მამა ისე, ადგილობრივი ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები და საკვირაო სკოლის მასწავლებლები.

შეხვედრა პენსილვანიაში ქართულ საკვირაო სკოლაში

13 ოქტომბერს, ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური კონსული დიანა ჟღენტი და საკონსულოს თანამშრომლები ეწვივნენ პენსილვანიის წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახელობის ქართული კულტურის ცენტრთან არსებულ საკვირაო სკოლას.
საკონსულოს წარმომადგენლები დაესწრნენ ქართული საკვირაო სკოლის ღია გაკვეთილს. საქართველოს გენერალურმა კონსულმა სკოლის აღსაზრდელებსა და პედაგოგებს ქართული ენის შემსწავლელი სახელმძღვანელოები გადასცა.
შეხვედრაზე გენერალურმა კონსულმა ისაუბრა ქართული ენის შესწავლის საქმეში საზღვარგარეთ არსებული ქართული საკვირაო სკოლების მნიშვნელობაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ბავშვებში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს სწორედ საკვირაო სკოლების მხარდაჭერა წარმოადგენს. გენერალურმა კონსულმა იმედი გამოთქვა, რომ ქართული ენის შემსწავლელი სახელმძღვანელოები დაეხმარება სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სწავლების პროცესში.
პენსილვანიის წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახელობის ქართული კულტურის ცენტრს პენსილვანიაში, იგი 2014 წელს დაარსდა მეუფე საბა ინწკირველის მიერ და ცენტრი დღემდე აქტიურად ეწევა კულტურულ-შემოქმედებით და საგანმანათლებლო საქმიანობას. კულტურის ცენტრთან არსებულ საკვირაო სკოლაში ამაჟამად 50-ზე მეტი სხვადასხვა ასაკის ქართველი ბავშვი სწავლობს ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიას.

ესტონეთში ქართული სათვისტომოს წევრების შეხვედრა საქართველოში UNICEF-ის წარმომადგენელთან

14 ოქტომბერს, ქ. ტალინში, შედგა გაცნობითი შეხვედრა ესტონეთში ქართული სათვისტომოს წევრებსა და საქართველოში UNICEF-ის წარმომადგენელს ღასან ხალილსა და ორგანიზაციის განათლების ოფიცერს მაია ყუფარაძეს შორის.
შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ესტონეთის, საქართველოსა და UNICEF-ის მიერ განხორციელებული ერთობლივი პროექტები და გაუზიარეს ერთმანეთს მოსაზრებები მომავალში საგანმანათლებლო ღონისძიებებში ქართული დიასპორის ჩართვის შესახებ.

მაყვალა გონაშვილის საიუბილეო საღამო ერევანში

14 ოქტომბერს, ქ. ერევანში, საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის „მთარგმნელთა დღესასწაულის“ ფარგლებში საქართველოს მწერალთა სახლის თანათავმჯდომარის მაყვალა გონაშვილის საიუბილეო საღამო გაიმართა. საღამო სომხეთის მწერალთა კავშირის ორგანიზებით ჩატარდა. ღონისძიებას ესწრებოდნენ სომხეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები, ფესტივალზე მოწვეული სტუმრები, მწერლები, პოეტები, ქართული სათვისტომო „ივერიას“ წევრები.

საიუბილეო საღამო მისასალმებელი სიტყვით გახსნა სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ედვარდ მელიტონიანმა. მაყვალა გონაშვილს საიუბილეო თარიღი მიულოცეს სომხეთში ქართული სათვისტომო „ივერიას“ პრეზიდენტმა სვეტლანა ნამჩევაძემ და ვიცე-პრეზიდენტმა ნინო სპანდერაშვილმა, რომელმაც პოეტის ლექსი „ღირსსახსოვარი“ წაიკითხა.

მაყვალა გონაშვილმა, საღამოს დასასრულს, მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, ხაზი გაუსვა ქართველებისა და სომხების საუკუნოვან მეგობრობას, რომელიც უხსოვარი დროიდან მოდის და იმედი გამოთქვა, რომ მწერალთა კავშირების მჭიდრო თანამშრომლობა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მის განმტკიცებას.

შეხვედრა საკვირაო სკოლაში ლოზანაში

16 ოქტომბერს, შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს საელჩომ შეხვედრა გამართა შვეიცარიის ვაუდის კანტონის ქ. ლოზანაში მოქმედ ქართული საკვირაო სკოლის დამფუძნებელ-ხელმძღვანელთან ფიქრია ზატუაშვილთან.

საელჩოს წარმომადგენლებმა საკვირაო სკოლის აღსაზრდელებს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შექმნილი ქართული ენის სახელმძღვანელოები გადასცეს.

შეხვედრა ნიუ-იორკის ქართულ დიასპორასთან

16 ოქტომბერს, ქ. ნიუ-იორკში, საქართველოს გენერალური საკონსულოსა და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ორგანიზებით, ქართულ სტარტაპ გარემოსთან დაკავშირებით ნიუ-იორკში მცხოვრებ დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა დიანა ჟღენტმა, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარემ ავთანდილ კასრაძემ და აღნიშნული სააგენტოს მიერ დაფინანსებული ოთხი ქართული სტარტაპ კომპანიის წარმომადგენლებმა.

ნიუ-იორკში მყოფ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქართველებთან გამართულ შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების როგორც განვითარების, ისე კომერციალიზაციის მნიშვნელობა, საუბარი შეეხო სახელმწიფოს მიდგომებს ინოვაციური სტარტაპების დაფინანსების კუთხით და ამ ეტაპისთვის არსებულ საგრანტო პროექტებში დიასპორის წარმომადგენლების ჩართულობის შესაძლებლობებს. მათ შორის, აღსანიშნავია სააგენტოს მიმდინარე მცირე გრანტების პროგრამა, რომელიც გულისხმობს ინოვაციური სახის პროექტების დაფინანსებას სხვადასხვა მიმართულებით.

საქართველო 2019 წლის მონაცემებით, ინოვაციების გლობალური ინდექსის რეიტინგში წამყვან 50 ქვეყანას შორის იკავებს ადგილს. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის წარმატების მთავარი ინდიკატორები ამ კუთხით არის მაღალტექნოლოგიური იმპორტი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურების (ICT) ექსპორტი და სამრეწველო ნიმუშების დიზაინი.

მხატვარ გიორგი შენგელიას პერსონალური გამოფენა ნიდერლანდების სამეფოში

17 ოქტომბერს, ქ. ბერხენში, ნიდერლანდების სამეფოში მოღვაწე ქართველი მხატვრის, გიორგი შენგელიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, სახელწოდებით "შავი და ლურჯი" გაიხსნა.
გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვრის ნამუშევრები შავი და ჩრდილოეთის ზღვების თემაზე. გიორგი შენგელია სოხუმში დაიბადა, შემდეგ სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, 2003 წლიდან კი ცხოვრობს ნიდერლანდების სამეფოში.
ღონისძიებას საქართველოს ელჩი ნიდერლანდების სამეფოში გიორგი შარვაშიძე, ბერხენის მერი და სხვა საპატიო სტუმრები დაესწრნენ.

საბერძნეთში ქართულ-ბერძნული მეგობრობის თასის გათამაშება გაიმართა

19 ოქტომბერს, ქ. ათენში, ღალაცის სტადიონზე, პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის" გამარჯვებულის საბერძნეთის რესპუბლიკაში ლიკა ჯანელიძის ორგანიზებით გაიმართა ქართულ-ბერძნული მეგობრობის თასის გათამაშება ფეხბურთში.
საქართველოს სახელით ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ათენში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდები, ხოლო საქართველოს მეგობართა ჯგუფი დაკომპლექტებული იყო ათენის სამხედრო-საზღვაო აკადემიის (SMYN) ბერძენი და კვიპროსელი სტუდენტებით, თამაშში ასევე მონაწილეობდნენ ამავე აკადემიის ქართველი სტიპენდიანტები.
საფეხბურთო ტურნირში გაიმარჯვა საქართველოს მეგობართა გუნდმა. მატჩის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საელჩოს უფროსი მრჩეველი დეა მუმლაძე, სტადიონზე, პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის" გამარჯვებული ელჩი ლიკა ჯანელიძე, "ქართული სახლის" ხელმძღვანელი დარეჯან ღამბაშიძე და სტუდენტთა და ახალგაზრდობის ბერძნულ-ქართული ასოციაცის დამფუძნებელი ავთანდილ გიუნაშვილი. გამარჯვებულ გუნდს გადაეცა მეგობართა თასი, ხოლო პირველ და მეორე ადგილზე გასულ გუნდებს სამახსოვრო მედლები და სერთიფიკატები.

მანანიკო ცენტერაძის სოლო კონცერტი დიასპორის წარმომადგენლებისთვის ბარსელონაში

19 ოქტომბერს ქ. ბარსელონაში, თეატრში „სარია" ტელეკომპანია "იმედის" მუსიკალური პროექტის - „ჩვენ ვართ ვარსკვლავები" 2017 წლის გამარჯვებულის მანანიკო ცენტერაძის კონცერტი გაიმართა. აღნიშნული კონცერტი ქ. ბარსელონას წმინდა ნინოს სახელობის სამრევლოს ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა.

კონცერტში მონაწილოება მიიღეს სამრევლოსთან არსებულმა „სულიერების, განათლებისა და კულტურული ცენტრის" აღსაზრდელებმა და მგალობელ მომღერალთა გუნდმა "Georgian Folk".

ქართული პოლიფონია ლიონში

19 ოქტომბერს ქ. ლიონში გამართულ წმ. სილუანის ასოციაციის მართლმადიდებლური კონგრესის დღეებში, მონაწილეობა მიიღო პარიზში არსებულმა ქართულმა პოლიფონიურმა გუნდმა ,,ჰარმონია''. კონგრესში მონაწილეობდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული სტუმრები. კონცერტზე ქართულმა გუნდმა ქართული პოლიფონიური სამხმოვანება და ასევე სხვადასხვა ქვეყნის საგალობლები შეასრულა. კონგრესმა სურვილი გამოთქვა მომავალ წელს საქართველოს ეწვიოს.

ქართულ-აფხაზური სამუსიკო დიალოგი თბილისში

19 ოქტომბრიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით, ქ. თბილისში, პროექტის „ქართულ-აფხაზური სამუსიკო დიალოგი" ფარგლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და ანსამბლ ,,შავნაბადას" მოწვევით, თურქეთში მცხოვრები ქართველების, აფხაზების, ოსებისა და კავკასიის სხვა ერების წარმომადგენელთა ერთობლივი კონცერტი გაიმართა.

ამ დღეების განმავლობაში სტუმრები სხვადასხვა საინტერესო აქტივობის მონაწილენი გახდნენ. 21 ოქტომბერს, დიმიტრი ჯაიანის სახელობის დარბაზში გაიმართა ანსამბლ ,,შავნაბადასა" და ,,კავკასიელი არწივების" ერთობლივი კონცერტი. 22 ოქტომბერს, „ქართულ-აფხაზური დიალოგის ფარგლებში", აფხაზეთის მთავრობის მიწვევით, სტუმრებთან შემაჯამებელი შეხვედრა შედგა.

სტამბოლში მცხოვრები თანამემამულის, პროზაიკოსისა და პოეტის, კაფე ,,გალაკტიონის" დამფუძნებლის ირაკლი კაკაბაძის თაოსნობით, თურქეთში, ქ. სტამბოლში რამდენჯერმე მოეწყო ქართულ-აფხაზური მუსიკის მასტერკლასები, რომელსაც ანსამბლ „შავნაბადას" ხელმძღვანელი დათო ცინცაძე უძღვებოდა. ამავე ვიზიტის ფარგლებში, სტამბოლში ერთ-ერთ პროტესტანტულ ტაძარში ქართულ-აფხაზური მუსიკის კონცერტი გაიმართა, რომელსაც აფხაზები, ქართველები და ადგილობრივი მცხოვრებლები ესწრებოდნენ.

ქართული კულტურის საღამო გერმანიაში

19 ოქტომბერს, ქ. მაინის ფრანკფურტში ქართველი სტუდენტების თათული ღვაბერიძის, ნათია გელაშვილის და ვახტანგ აბუსელიძის ინიციატივით და საქართველოს გენერალური საკონსულოს, სტუდენტური გაერთიანებების STUBE HESSEN-ის და ESG-ს მხარდაჭერით, ქართული კულტურის საღამო გაიმართა.

ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით საქართველოს კონსულმა თამთა კინწურაშვილმა გახსნა. სტუდენტებმა ქართული სიმღერები და ეროვნული ცეკვები შეასრულეს. წაიკითხეს ცნობილი ქართველი პოეტების ლექსები, რის შემდეგაც ფრანკფურტის გოეთეს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ფაკულტეტის პროფესორმა მანანა თანდაშვილმა პრეზენტაცია წარადგინა ქართულ ენასა და მის ისტორიაზე.

საჯარო ლექცია საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობებზე საბერძნეთში

20 ოქტომბერს, ათენის ქართული ინსტიტუტის ორგანიზებით, განათლებისა და კულტურის ცენტრ „კავკასიის“ ბაზაზე გაიმართა „ევროპის უნივერსიტეტის“ რექტორის, პროფესორ ლაშა კანდელაკიშვილის საჯარო ლექცია-დისკუსია თემაზე „საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობები უცხოეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისთვის“. ღონისძიება ათენის ქართულ ინსტიტუტთან არსებული ბერძნულ-ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის სასაწავლო-შემეცნებითი პროგრამების ფარგლებში განხორციელდა და განსაკუთებით სასარგებლო აღმოჩნდა საბერძნეთის სკოლების ქართველი მოსწავლეებისათვის, რომლებიც უმაღლესი განათლების მიღებას საქართველოში გეგმავენ.

ქართველი დიზაინერის კოლექცია ოდესის მოდის კვირეულზე

20 ოქტომბერს, ქ. ოდესაში, გაიმართა მოდის კვირეული „20th ODESSA FASHION DAY“, რომლის ფარგლებში, ოდესაში მოღვაწე, ქართველი დიზაინერის მარი გეგეშიძის (Mari Ge) კოლექციის ჩვენება გაიმართა.

თანამემამულე დიზაინერის ნამუშევრებმა მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. მარი გეგეშიძის გასამხნევებლად, ღონისძიებას საქართველოს საკონსულოს და ქართული დიასპორის წარმომადგენლები დაესწრნენ.

დავით ზალკალიანმა ლონდონში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა

20 ოქტომბერს, ქ. ლონდონში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა გაერთიანებული სამეფოში ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრა გამართა ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.

აღსანიშნავია, რომ ეს იყო საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი შეხვედრა ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან, რომელიც გაიმართა ქ. ლონდონში საქართველოს საელჩოს ახალ, საკუთარ შენობაში.

შეხვედრაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა ქართული დიასპორის წარმომადგენლებს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და საგარეო პოლიტიკურ მიღწევებზე. დავით ზალკალიანმა ხაზი გაუსვა საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის დიასპორის თემატიკაზე მუშაობის პრიორიტეტულობას და ისაუბრა, იმ ინიციატივებსა და პროექტებზე, რომელთა განხორციელებაც სამინისტროს დაგეგმილი აქვს ქართული დიასპორის გასაძლიერებლად და მხარდასაჭერად.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა საზღვარგარეთის ქვეყნებში ქართული საკვირაო სკოლების მნიშვნელობას მშობლიური ენისა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

ამასთან, გამართულ შეხვედრისას, საქართველოს ელჩმა თამარ ბერუჩაშვილმა, აღნიშნა საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის არსებული, განსაკუთრებული ურთიერთობები და სტრატეგიული პარტნიორობა. ხაზი გაუსვა საქართველოს პოპულარიზაციის მიზნით, დიასპორის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობისა და ამ მხრივ, საელჩოსთან თანამშრომლობის მნიშვნელობას.

დიასპორის წარმომადგნელებმა თავის მხრივ, ისაუბრეს თავიანთ საქმიანობასა და მათთვის პრობლემურ საკითხებზე, ასევე პოზიტიურად აღნიშნეს, რომ ამგვარი შეხვედრები საელჩოში რეგულარულ ხასიათს ატარებს, რაც იძლევა კარგ შესაძლებლობას ისაუბრონ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე.

ღონისძიების დასასრულს, მინისტრმა მადლობა გადაუხადა დიასპორის წარმომადგენლებს მონაწილეობისათვის და განაცხადა, რომ ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრა საზღვარგარეთ მისი ვიზიტის დღის წესრიგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

გივი კბილაშვილის კონცერტი ბელარუსში



21 ოქტომბერს, ქ. მინსკში, პროფკავშირების კულტურის სასახლეში შედგა ქართველი მოცეკვავის გივი კბილაშვილის კონცერტი «Все будет JazzzZ!», სადაც ქართველი მოცეკვავე ჯაზ-ბენდის აკომპანიმენტით ასრულებდა ქართულ ეროვნულ ცეკვებს.

მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა ქართული სიმღერების შესრულებამ ჯაზის არანჟირებით, თავად გივი კბილაშვილი დამსწრე საზოგადოებას აცნობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს და ასრულებდა დამახასიათებელ ცეკვებს. ადგილობრივ სტუმრებთან ერთად კონცერტს ქართული დიასპორის წარმომადგენელიც ესწრებოდნენ.

ქართველი პიანისტის სადებიუტო კონცერტი ვენაში

21 ოქტომბერს, ქ. ვენის საკონცერტო დარბაზ Musikverein-ში გაიმართა ქართველი პიანისტის მარიამ ბაწაშვილის სადებიუტო კონცერტი.

კონცერტზე ქართველმა პიანისტმა ამერიკელი დირიჟორის Fawzi Haimor-ის ხელმძღვანელობით, როიტლინგენის ფილარმონიის ორკესტრთან ერთად ჩაიკოვსკისა და შოსტაკოვიჩის ნაწარმოებები შეასრულა.

კონცერტს აგრეთვე ესწრებოდა საქართველოს ელჩი ავსტრიაში, დავით დონდუა.

წარმატებული ქართველი პიანისტი მარიამ ბაწაშვილი გერმანიის ქალაქ ვაიმერში ცხოვრობს და მოღვაწეობს. იგი არაერთი კონკურსის გამარჯვებულია. 2011 წელს მარიამ ბაწაშვილმა ლისტის ნაწარმოებების საუკეთესო ინტერპრეტაციისთვის ლისტის ფონდის მიერ დაარსებული სპეციალური პრიზი და ახალგაზრდების მუსიკალური კონკურსების ევროპული გაერთიანების (EMCY) პრიზი მოიპოვა, რის შემდეგაც მუსიკალური განათლება მიიღო ვაიმერში, ფერენც ლისტის უნივერსიტეტში.

2014 წელს ლისტის საერთაშორისო კონკურსზე ქართველ პიანისტს მასმედიის პრიზი ერგო, ჟიურიმ კი მას სრულყოფილი ხელოვანი უწოდა „შესანიშნავი შეხებით“ და „გულწრფელი ემოციით“. 2017 წელს მარიამ ბაწაშვილი BBC რადიომ ახალი თაობის გამორჩეულ ხელოვანებს შორის დაასახელა. იმავე წელს ევროპის საკონცერტო დარბაზების მიერ იგი „ამომავალი ვარსკვლავის“ ნომინაციაზე იქნა წარდგენილი. მუსიკალური გამოცდილება ქართველმა პიანისტმა ისეთ სახელოვან ორკესტრებთან ერთად მიიღო, როგორიცაა ჰოლანდიის რადიო ფილარმონიული ორკესტრი, როტერდამის და ბრიუსელის ფილარმონიული ორკესტრები.

ვენის საკონცერტო დარბაზის შემდეგ მარიამი შემოქმედებით ტურნეს ევროპის სხვადასხვა ქალაქში განაგრძობს.

მეცნიერისა და პოეტის, სიმა ჯანაშვილის შემოქმედებითი საღამო ისრაელში

22 ოქტომბერს, ქ. ბათ-იამში, ქართველ ებრაელთა თემის ქალთა ორგანიზაციამ „ბათ ამი“ და ქ. ბათ-იამის ბობოვის მოხუცებულთა თავშესაფრის ადმინისტრაციამ ქართველ-ებრაელი მეცნიერისა და პოეტის, მრავალი წიგნის ავტორის სიმა ჯანაშვილის დაბადების დღე მისი შემოქმედებითი საღამოთი აღნიშნა. საღამოზე ნაჩვენები იყო სიმა ჯანაშვილის ისრაელში მოღვაწეობისა და საქართველოს სამეცნიერო თუ სახელოვნებო წრეებთან მისი მრავალწლიანი ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტური ფილმი. საქართველოს საელჩოს მრჩეველმა მანანა დუმბაძემ იუბილარს დაბადების დღე მიულოცა და ორი ქვეყნისთვის გაწეული შემოქმედებითი და საზოგადოებრივი ღვაწლისთვის მადლობა გადაუხადა. საღამოს დასასრულს, კომპოზიტორმა ალექსანდრე პელეგმა პოეტის პატივსაცემად, ქართული და ებრაული მუსიკის მცირე კონცერტი გამართა.

„საქართველოს ისტორია ფერებში“ ათენის საჯარო სკოლაში

3 ოქტომბერს, ქ. ათენში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ გამარჯვებულმა საბერძნეთის რესპუბლიკაში ლიკა ჯანელიძემ, 150-ე ბერძნულ საჯარო სკოლაში, სადაც ქართული ენის სწავლების პროგრამა დაიწყო, წარადგინა პროექტი სახელწოდებით „ისტორია ფერებში“. ნაჩვენები იყო ისტორიული გმირების და მოვლენების ამსახველი ფოტო-გრაფიკები, რომლებსაც მოსწავლეებმა თავად შეურჩიეს ფერები.

ღონისძიების დასასრულს, ლიკა ჯანელიძემ პედაგოგებსა და მოსწავლეებს საჩუქარად ქართული ანბანი გადასცა.

ანსამბლ “მზიური საქართველოს” ცეკვის ფორმები გადაეცა

24 ოქტომბერს, საქართველოს კონსულმა ბელარუსის რესპუბლიკაში დავით კურტანიძემ, შეხვედრა გამართა ქ. მინსკში არსებული ქართული ცეკვის ანსამბლის - „მზიური საქართველო“ ხელმძღვანელთან, დიანა დარასელიასთან და ანსამბლის წევრებთან.

დავით კურტანიძემ, ანსამბლს გადასცა ქართული ცეკვის ეროვნული კოსტიუმები, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ბელარუსის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით შეიკერა.

ოქტომბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ემიგრანტული ფესტივალი ისრაელში

24 ოქტომბერს, ქ. ბათ-იამის აუდიტორიუმში, ისრაელში ქართული ხელოვნების ცენტრმა ემიგრანტული ფესტივალი „ქართული ოჯახები ისრაელში“ გამართა. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ისრაელში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისა და ქართველ ებრაელთა თემის თითქმის ყველა თაობის წარმომადგენელმა. ხელოვნების ცენტრის მოყვარულმა შემსრულებლებმა ბათ-იამის აუდიტორიუმის სცენაზე შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები, კლასიკური თანამედროვე საესტრადო და ჯაზური მუსიკა, წაიკითხეს გამოჩენილი ქართველი პოეტებისა და პროზაიკოსების ნაწარმოებები. პროექტის მონაწილეებს და მის მხარდამჭერებს პირველი ემიგრანტული ფესტივალი მიულოცეს საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებმა. მეცნიერებმა იცხაკ დავითმა და შალვა წიწუაშვილმა, მწერლებმა იზოლდა კრიხელმა და გია მოშიაშვილმა ხელოვნების ცენტრს და კონცერტის მონაწილეებს საავტორო წიგნები და სხვა სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. ქართულ-ებრაულ ურთიერთობებში შეტანილი წვლილისთვის „ისრაელში ქართული ხელოვნების ცენტრის“ საპატიო სიგელი ორგანიზაცია „გულთა კავშირის“ პრეზიდენტს, რობერტ ადარს (აჯიაშვილი) გადაეცა.

ლექცია შავი ზღვის რეგიონში არსებული უსაფრთოხების გარემოს შესახებ კოპენჰაგენის უნივერსიტეტში

24 ოქტომბერს, ქ. კოპენჰაგენში, უსაფრთხოების სწავლებების დეპარტამენტის ქართველ სტუდენტის მარიამ შონიას ინიციატივით და სტრატეგიული სწავლებების ქსელის Network for Strategic Studies თანაორგანიზებით, კოპენჰაგენის უნივერსიტეტში გაიმართა დანიის სამეფოში საქართველოს ელჩის გიგი გიგიაძის ლექცია, შავი ზღვის რეგიონში არსებული უსაფრთოხების გარემოს შესახებ.

გიგი გიგიაძემ საკუთარ გამოსვლაში ხაზი გაუსვა საქართველოს მნიშვნელობას რეგიონში განხორციელებულ სატრანსპორტო და ენერგო პროექტებში. მან ყურადღება გაამახვილა რუსეთის მიერ რეგიონის მილიტარიზაციის პროცესსა და აგრესიულ ქმედებებზე, რაც საფრთხეს უქმნის შავი ზღვის რეგიონში მშვიდობასა და სტაბილურობას. ასევე, საქართველოს ელჩმა ისაუბრა რეგიონში ნატო-სა და ევროკავშირის პოზიციების გაძლიერების აუცილებლობაზე.

„თბილისობა“ ლატვიაში

24 ოქტომბერს, ქ. რიგაში, საელჩოს ორგანიზებით ქართულ რესტორან „ალავერდში" თბილისობა აღინიშნა.

ღონისძიების ფარგლებში სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ქართული კერძები, ასევე თავად მიეღოთ მონაწილეობა მათ მომზადებაში და გაცნობოდნენ მომზადების წესს. მათ, ვინც საუკეთესოდ შეძლეს ქართული კერძების მომზადება, გადაეცათ შესაბამისი საჩუქრები.

ღონისძიების მუსიკალურად გააფორმა ანსამბლმა „სულიკომ".

„თბილისობაში“, სხვა მოწვეულ სტუმრებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ლატვიაში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა.

ქართული კულტურის საღამო ვაშინგტონში

25 ოქტომბერს, ქ. ვაშინგტონში, საქართველოს საელჩოს ორგანიზებით და International Club of DC ორგანიზაციასთან პარტნიორობით, გაიმართა ქართული კულტურული საღამო. საელჩოს პირველმა მდივანმა მარიკა მიქელაძემ ადგილობრივ სტუმრებს საქართველოს ისტორია, ტურიზმის პოტენციალი და კულტურული ღირსშესანიშნაობები გააცნო. ღონისძიება ქართული კულტურის ცენტრის Georgian Dance DC-ის ანსამბლმა ქართული ცეკვებით გაალამაზა.

შეხვედრა უკრაინაში არსებულ, ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრთან

26 ოქტომბერს, ქ. ხარკოვში ვიზიტის ფარგლებში, ქ. დონეცკში საქართველოს კონსულმა ირაკლი ადვაძემ, ხარკოვის ოლქის ეროვნულ-კულტურულ საზოგადოება „საქართველოს“ და მასთან არსებულ ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს საჩუქრად გადასცა პორტატული კომპიუტერი, ვიდეო პროექტორი და მონიტორი. ხსენებული ტექნიკისა და ინვენტარის შეძენაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ გამარჯვებულმა უკრაინაში სანდრო თოფურიამ დიდი წვლილი შეიტანა. ღონისძიების ფარგლებში, ქ. ხარკოვში საქართველოს საპატიო კონსულის ალექსანდრა ჩიხლაძის ორგანიზებით მიღების ცერემონია გაიმართა.

ქართულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა უკრაინის საერთაშორისო ფესტივალზე პირველი ადგილი მოიპოვა

26 ოქტომბერს, ქ. დნიპროს საზოგადოებრივი ორგანიზაციის - „ქართული სული” ბაზაზე მოქმედმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „რიონი“, ქ.კიევში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე მიიღო მონაწილეობა. ქართულმა ანსამბლმა ნომინაციაში „მსოფლიო ხალხთა ცეკვები“ პირველი ადგილი დაიკავა. აღნიშნული ფესტივალი ყოველწლიურად ტარდება და მასში უკრაინაში მოქმედი ადგილობრივი და საზღვარგარეთიდან ჩამოსული ანსამბლები მონაწილეობდენ.

გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანიზებით საქველმოქმედო სროლის ტურნირი ჩატარდა

26 ოქტომბერს, ქ. უნტერვოზენში, გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანიზებით, რიგით მეექვსე საქველმოქმედო სროლის ტურნირი გაიმართა. ტურნირში მონაწილეობა ორმოცდაათზე მეტმა ქართველმა და გერმანელმა მსროლელმა მიიღო. ტურნირის დასასრულს გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები. პირველ ადგილზე ნუცა მჭედლიშვილი, მეორე ადგილზე თინათინ ჩითინაშვილი, მესამე ადგილზე კი, მუხრან მახარაძე გავიდნენ. საპატიო დაფას წელს მუხრან მახარაძის სახელი შეემატა.

წლევანდელი ტურნირის განსაკუთრებულობა იმაშიც იყო, რომ სათვისტომოს ღონისძიებას სენაკის ქვეითი სადაზვერვო ასეულის სამხედროებიც ესწრებოდნენ, რომლებიც სამხედრო მომზადებას გერმანიაში გადიან.

გერმანიის ქართული სათვისტომოს სროლის ტურნირის მთავარი მიზანი წელსაც ქველმოქმედება იყო. შემოსული თანხა ორგანიზაცია „ცხოვრების შანსს“ გადაეცა, რომელიც საქართველოში მზრუნველობამოკლებული ახალგაზრდების პროფესიულ განათლებასა და განვითარებაზე ზრუნავს.

ფოლკლორის თეორიული გაკვეთილები ათენში

26 ოქტომბერს, ათენის ქართული ინსტიტუტისა და კულტურის ცენტრის „კავკასიას" სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, გაიმართა შემეცნებითი ლექცია-შეხვედრა ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის „კავკასიას“ სტუდიების აღსაზრდელებთან და მათ მშობლებთან. საღამო გახსნა და დამსწრე საზოგადოებას შესავალი სიტყვით მიესალმა ათენის ქართული ინსტიტუტისა და „კავკასია“-ს დამფუძნებელი ავთანდილ მიქაბერიძე. შეხვედრას, რომელიც ორ ჯგუფად მიმდინარეობდა, უძღვებოდნენ ქორეოგრაფები ეკა გიგოლაშვილი და შოთა ცქვიტიშვილი. თანამემამულე ბავშვები,

სავალდებულო პროგრამის ფარგლებში, თვეში ერთხელ გაეცნობიან ქართული ფოლკლორის თეორიულ მხარეს, მოისმენენ საუბრებს და ნახავენ საილუსტრაციო მასალას, ფოლკლორის ისტორიისა და განვითარების შესახებ. ამჯერად საუბრის თემა იყო „ცეკვა ქართული“. აღნიშნული შეხვედრა და თეორიული ლექცია-საუბარი ქართული ფოლკლორის შესახებ, ძალიან საჭირო, საინტერესო და სახალისო აღმოჩნდა როგორც ბავშვებისთვის, ასევე მშობლებისთვისაც.

„შემოდგომის საღამო" ვენის ქართულ საკვირაო სკოლაში

27 ოქტომბერს, ოქტომბერს, ავსტრიაში ქართული სათვისტომოს ორგანიზებით, გაიმართა ტრადიციული საშემოდგომო ღონისძიება - „შემოდგომის საღამო“.
ღონისძიებაზე ვენის ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა შეასრულეს ქართული სიმღერები და წარმოადგინეს მათ მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთები. ღონისძიების ფარგლებში, მოწვეულმა სტუმარმა, ქართული მუსიკალური შოუს, "ახალი ხმის" მონაწილე თორნიკე აბრამიშვილმა ავსტრიელ ანა ჰიუდმოსერთან ერთად შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები.
დასასრულს სტუმრებს საშუალება ჰქონდათ საკვირაო სკოლის მოსწავლეებთან ერთად ამოევლოთ ჩურჩხელები და დაეგემოვნებინათ ქართული ღვინო და კერძები.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორისა და ავსტრიაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები.

ქართული საღამო ვარშავაში

27 ოქტომბერს, ქ. ვარშავაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ გამარჯვებული პოლონეთის რესპუბლიკაში თამარ ლორთქიფანიძის ორგანიზებით ქართული საღამო გაიმართა. ღონისძიების სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ქართულ კულტურას. თამარ ლორთქიფანიძემ საქართველოს შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას, სადაც ისაუბრა ქართული ენისა და ანბანის შესახებ. ქართულ საღამოზე წარმოდგენილი იყო გამოფენა „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურის“ რამდენიმე ექსპონატი.
ღონისძიების მეორე ნაწილში მოცეკვავეებმა ბელა ბლუიშვილმა და ლევან ბაბუნაშვილმა შეასრულეს აჭარული და თუშური ცეკვა.
პროექტის გამარჯვებულმა იმღერა ოთხი სიმღერა: ბულატ ოკუჯავას „Грузинская песня“ პოლონურ ენაზე, სულხან ცინცაძის „სიმღერა თბილისზე“, ლილიკო ნემსაძის „ჩემი თბილისი“ და გოგი ცაბაძის „ტრიალებს“.

ანკარაში ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა აღევლინა

27 ოქტომბერს, საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს საელჩოსა და ანკარაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ერთობლივი ძალისხმევით, ქ. ანკარის წმ. ტერეზას სახელობის კათოლიკურ ტაძარში მამა მიქაელმა (ბრეგვაძე) მეორედ აღავლინა ქართული წირვა-ლოცვა.
წირვის დასრულების შემდეგ, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გიორგი ჯანჯღავამ მრევლს სიტყვით მიმართა და კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა საელჩოსა და საქართველოს მოქალაქეებს შორის კომუნიკაციის მნიშვნელობას.
აღნიშნულის ფარგლებში, ელჩი მიესალმა საელჩოსა და საკონსულო სამსახურის წარმომადგენლების პერიოდულ შეხვედრებს საქართველოს მოქალაქეებთან, რა დროსაც განიხილება დღის წესრიგში არსებული პრობლემატური საკითხები და მათი გადაჭრის გზები.
ანკარაში ქართული წირვა-ლოცვა მომავალშიც აღევლინება გარკვეული პერიოდულობით, რის შესახებაც საქართველოს საელჩოს მიერ წინასწარ მოხდება საქართველოს მოქალაქეების ინფორმირება.

შეხვედრა ქართველ ემიგრანტებთან სტამბოლში

27 ოქტომბერს, ქ. სტამბოლში, „შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრის“ ორგანიზებით, მოეწყო ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა თურქეთში მცხოვრები ემიგრანტების პრობლემები, კონკრეტულად, მოქალაქეებმა ისაუბრეს მათი შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტებზე. ღონისძიების მიზანი იყო ახალი ორგანიზაცია „იასამანის“ დაფუძნება, რომლის იდეა ეკუთვნით თურქეთში მცხოვრებ მოქალაქეს სოფიო ბოლქვაძეს, რომელსაც იურიდიულ საკითხებში დახმარებას გაუწევს ადვოკატი საქართველოდან ლელა ბჟალავა.

ახალი ორგანიზაცია სტამბოლის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრთან ერთად იზრუნებს ემიგრანტების საერთო პრობლემებზე. ღონისძიების მსვლელობისას, ემიგრანტებმა წვლილი შეიტანეს ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის გადაწერაში. ემიგრანტებს სიტყვით მიმართეს „შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრის“ დამფუძნებლებმა სეზენ გონენჩ ოქჯანმა და ორჰან ბერიძემ, აგრეთვე, ღონისძიებას ესწრებოდა „ქართული ენის ცენტრის“ დამფუძნებელი ეშრეფ ილმაზ მახარაძე.

კანადის შეიარაღებული ძალების კოლეჯში საქართველოს დღე აღინიშნა

28 ოქტომბერს, ქ. ტორონტოში, კანადის შეიარაღებული ძალების კოლეჯის ქართველი კურსანტის ლევან უსენაშვილის ინიციატივით და საქართველოს ელჩისა და ტორონტოში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების მხარდაჭერით, კოლეჯში გამართულ ტრადიციული ღია კარის დღის ფარგლებში, მოეწყო საქართველოსადმი მიძღვნილი კუთხე.

კანადის სამხედრო წვრთნისა და თანამშრომლობის პროგრამის (MTCP) ფარგლებში, სხვადასხვა ეროვნების სამხედროებთან ერთად, კოლეჯში სამხედრო სწავლების კურსს გადის საქართველოს თავდაცვის ძალების პოლკოვნიკი ლევან უსენაშვილი. ქართველმა კურსანტმა, კანადაში საქართველოს ელჩთან კონსტანტინე ქავთარაძესთან და ტორონტოში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებთან ერთად, კოლეჯის ღია კარის დღეზე სტუმრებს უმასპინძლა.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ქართული ტრადიციული ხელნაკეთი ნივთები, ქართული სასმისები, საქართველოს საპრომოციო ბანერები, ნატო-ს მისიებში საქართველოს მონაწილეობის ამსახველი ფოტომასალა, სტუმრებს ასევე დაურიგდათ ბროშურები საქართველოს შესახებ.

კოლეჯის ღია კარის დღის ფარგლებში, ქართველი კურსანტის მეურვე გახლდათ ტორონტოში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი გურამ სარია. მასთან ერთად, ქართველ კურსანტს და საქართველოს საელჩოს ღონისძიების მოწყობაში მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს ტორონტოში მცხოვრებმა ქართველებმა ვაჟა და ეკატერინე ჯანგირაშვილებმა, გიორგი ესიტაშვილმა, ნათია ქავთარაძემ, ტორონტოს ქართველ ქალთა ორგანიზაციის წევრებმა თამარ ცინცაძემ, თამარ გვაზავამ, მაია ფურცხვანიძემ, თეა თოდუამ, ლალი ტლაშაძემ, ქართველმა სპორტსმენმა თენგიზ ოქრუაშვილმა, ასევე ტორონტოში არსებულმა ქართულმა რესტორანმა „მიმინო“, რომლის მფლობელია ცარო აფციაური.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯის ღია კარის დღეზე საქართველოს კუთხემ დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. საქართველოს ელჩთან შეხვედრისას კოლეჯის რექტორმა, კანადის შეიარაღებული ძალების ბრიგადის გენერალმა ბრაიან მაკფერსონმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს კუთხე კოლეჯში უკვე მეორე წელია ეწყობა და იგი ყოველთვის მრავალფეროვანი და გამორჩეულია. სამხედრო კოლეჯის პედაგოგებმა, კურსანტებმა და მიწვეულმა სტუმრებმა ასევე აღნიშნეს, რომ ღონისძიებაზე უფრო ახლოს გაეცნენ ქართულ კულტურას, ტრადიციებს, საქართველოსა და ქართული ღვინის ისტორიას.

თბილისში შვეიცარიაში მოქმედმა ქართულმა ასოციაციამ საქველმოქმედო კონცერტი გამართა

28 ოქტომბერს, ქ. თბილისში, რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში შვეიცარიაში მოქმედი ასოციაცია ,,ვივაჩე''-ს ხელმძღვანელის თამარ კორძაძის ორგანიზებით საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა.

კონცერტზე შემოწირული თანხები გადაეცემა UNICEF-ს საქართველოში და „ვივაჩეს", ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი მუსიკოსების ხელშეწყობის მიზნით. კონცერტზე მონაწილეობა მიიღეს ქართველი და შვეიცარიელი ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლებმა, სხვადასხვა კონკურსების გამარჯვებულებმა. კონცერტს დაესწრნენ შვეიცარიის პარლამენტის პრეზიდენტი, შვეიცარიის ელჩი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელები და სხვა საპატიო სტუმრები, პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, ეროვნული საბჭო, როგორც შვეიცარიიდან, ისე სხვადასხვა ქვეყნებიდან.

ლონდონის უესტმინსტერის უნივერსიტეტმა ყოველწლიურ კონფერენციას „საქართველოს დღე" უმასპინძლა

31 ოქტომბერს, უესტმინსტერის უნივერსიტეტმა უმასპინძლა რიგით 32-ე ყოველწლიურ ღონისძიებას „საქართველოს დღე", რომელიც მიეძღვნა თემას „საქართველო, როგორც განათლებისა და მეცნიერების ჰაბი". ღონისძიება ჩატარდა საქართველოს საელჩოსა და უესტმინსტერის უნივერსიტეტის თანა-ორგანიზებით და მასში მონაწილეობა მიიღეს გაერთიანებულ სამეფოში აკადემიური წრეების, დიპლომატიური კორპუსისა და მთავრობის წარმომადგენლებმა.

კონფერენცია გახსნეს დამაარსებელმა და თანა-ორგანიზატორმა თამარა დრაგაძემ და უესტმინსტერის უნივერსიტეტის, ხელოვნებისა და მეცნიერების კოლეჯის პრეზიდენტმა, პროფესორმა, ენდრიუ ლინმა (Andrew Linn).

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას მთავარი მომხსენებლების სტატუსით მიმართეს გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს ელჩმა თამარ ბერუჩაშვილმა და საგარეო და თანამეგობრობის ოფისის, საგარეო ურთიერთობათა და რბილი ძალის დეპარტამენტის დირექტორმა პოლ ბრამელმა (Paul Brummell).

თავის გამოსვლაში, საქართველოს ელჩმა თამარ ბერუჩაშვილმა ხაზი გაუსვა მ. წ. 21 ოქტომბერს, ლონდონში „საქართველოსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმების ხელმოწერასა და მის მნიშვნელობას. საქართველოს ელჩმა, ასევე ისაუბრა საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებულ შესაძლებლობებზე და ამ კუთხით საქართველოს მთავრობის წარმატებულ რეფორმებსა და სამომავლო გეგმებზე.

თავის მხრივ პოლ ბრამელმა (Paul Brummell) მიმოიხილა საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა და განსაკუთრებით აღნიშნა მჭიდრო აკადემიური, კულტურული და ხალხთა შორისი კავშირები ორ ქვეყანას შორის.

კონფერენციაზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ონკოლოგიის დეპარტამენტის წევრმა და საქართველოს კლინიკური ონკოლოგიის საზოგადოების ხელმძღვანელმა, პროფესორმა რემა ღვამიჩავამ ისაუბრა „საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერება სამედიცინო განათლებისა და კვლევის სფეროში". ამასთან, ღონისძიების ფარგლებში დოქტორმა კონსტანტინე თოფურიამ და პროფესორმა ლეილა ახვლედიანმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს საქართველოში განათლების და მეცნიერების სფეროში არსებული შესაძლებლობებისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

საქართველოს დღის თანა-ორგანიზატორებმა და უესტმინსტერის უნივერსიტეტის ლექტორებმა ნინო ფორაქიშვილმა და პიტერ ლიდიარდმა ისაუბრეს საქართველოზე როგორც განათლებისა და მეცნიერების ცენტრზე, აგრეთვე დიდ ბრიტანეთსა და საქართველოს შორის ბიო-სამედიცინო მეცნიერებაში არსებულ თანამშრომლობაზე.

განხორციელებული პროექტებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინეს: საქართველო-ბრიტანეთს შორის დამეგობრებული ქალაქების, კერძოდ ბრისტოლი-თბილისი, ნიუპორტ-ქუთაისი და ნიუქასლი-ახალციხის წარმომადგენლებმა; ასევე, საქველმოქმედო ორგანიზაცია „მკურნალის“ და ბრიტანულ-ქართული საზოგადოების წევრებმა.

კონფერენციის ფარგლებში, ჯო სიმენმა (Jo Seaman) საქართველოში ბრიტანეთის საბჭოს ყოფილმა დირექტორმა, წარმოადგინა საქართველოს შესახებ დაწერილი საკუთარი წიგნი “Roses down the barrel of a gun –Georgia love and revolution”.

მიხაი ზიჩის გამოფენა დანიაში

31 ოქტომბერს, ქ. კოპენჰაგენში, დანიის სამეფოში საქართველოს საელჩომ, დანიის სამეფოში უნგრეთის საელჩოსთან თანამშრომლობით, უმასპინძლა „ვეფხისტყაოსნის“ გამორჩეული ილუსტრატორის, ცნობილი უნგრელი მხატვრის, მიხაი ზიჩის გამოფენას. წარმოდგენილი იქნა ზიჩის 25 ნამუშევრის მაღალი რეზოლუციის ასლი.

შოთა რუსთაველის რომანტიკული ეპოსის „ვეფხისტყაოსანი“ პირველი ნაბეჭდი ილუსტრირებული გამოცემა სწორედ მიხაი ზიჩს

უკავშირდება. 1881 წელს, ქართველი დიდებულების თხოვნით იგი საქართველოში ჩამოვიდა, ნაწარმოების თემაზე მუშაობისას ზიჩი იმდენად მოიხიბლა „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსით, რომ შექმნილი ილუსტრაციები ქართველ ხალხს უსასყიდლოდ უსახსოვრა.

შეხვედრას ესწრებოდნენ დანიის სამეფოში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ტორონტოში ქართული სიმღერის, ცეკვისა და კულინარიის მეორე ფესტივალი გაიმართა

15 სექტემბერს, ტორონტოს ქართველ ქალთა ორგანიზაციის ინიციატივითა და კანადაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერითა და ხელშეწყობით, ტორონტოს მელ ლასტმანის სახელობის სკვერში უკვე მეორედ გაიმართა ქართული სიმღერის, ცეკვისა და კულინარიის ღია ცის ქვეშ ფესტივალი. გასულ წელს ფესტივალი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაფუძნების 100 წლისთავს მიეძღვნა. წელს ფესტივალის ფარგლებში ნატო-ს 70 წლისთავი აღინიშნა და საპატიო სტუმრად კანადის ნატოს ასოციაცია იყო მოწვეული. სკვერის ტერიტორიაზე ტორონტოელებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ საელჩოს მიერ მომზადებული რამდენიმე

თემატური ფოტოგამოფენა: „საქართველოს გზა ნატო-ში წევრობისკენ“ და „50 ქალი საქართველოდან“. ფესტივალის სტუმრებს დაურიგდათ ბუკლეტები საქართველოს შესახებ. კანადის ნატოს ასოციაციამ თავისი საპრომოციო მასალები გამოფინა.

ტორონტოს ქართველ ქალთა ორგანიზაციამ საქველმოქმედო ბაზრობა გამართა, სადაც, ფესტივალის სტუმრებს საშუალება ჰქონდათ შეეძინათ ქართული ტრადიციული ხელნაკეთი ნივთები, ხევსურული ქუდები, წინდები, ფარდაგები, მინიატურული ქვევრები, ყანწები. ტორონტოში არსებული რესტორანი “მიმინო“ ტორონტოელებს ქართული ტრადიციული კერძებით გაუმასპინძლდა.

ქართულ ფესტივალზე მისულმა ტორონტოელებმა, ქალაქის სტუმრებმა და ტორონტოში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა სკვერში მდებარე ღია საკონცერტო ამფითეატრში გადაინაცვლეს, სადაც მათთვის ქართული სიმღერისა და ცეკვის კონცერტი გაიმართა. კონცერტს ტორონტოს ქართველ ქალთა ორგანიზაციის წევრი ეთერ ელიზბარაშვილი და ტორონტოში მცხოვრები ქართველი მომღერალი დიანა ირემაშვილი უძღვებოდნენ. დამსწრეებს კანადაში საქართველოს ელჩმა კონსტანტინე ქავთარაძემ მიმართა. მან ისაუბრა საქართველოზე, მის უძველეს ისტორიაზე, უნიკალურ ქართულ კულტურასა და მეღვინეობის 8000 წლოვან ტრადიციაზე, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაზე, იმ ევროპულ ფასეულობებზე, რომელთა ერთგულიც საქართველო ყოველთვის იყო, ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე, იმ დიდ წვლილზე, რაც საქართველოს შეაქვს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში. სიტყვით გამოვიდნენ კანადის ნატოს ასოციაციის პრეზიდენტი რობერ ბეინსი და ვიცე-პრეზიდენტი კეთრინ ლენგლი ჰოუფი. სცენაზე გამოვიდნენ კანადელი და ქართველი მუსიკოსებით დაკომპლექტებული ანსამბლი “დარბაზი” და ტრიო „ზარი“, ასევე, ტორონტოში მცხოვრები ქართველი მომღერალი უჩა აბულაძე, რომლებმაც ქართული ხალხური და ქალაქური სიმღერები შეასრულეს. დამსწრეთა წინაშე ქართული ხალხური ცეკვებით წარსდგა ქ.ტორონტოში მცხოვრები ქართველებით დაკომპლექტებული ანსამბლი „ქართული სული“, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია ნონა ბერიკაშვილი.

აღნიშნულმა ფესტივალმა უკვე ტრადიციული სახე მიიღო. მის ორგანიზებაში აქტიურად იყვნენ ჩართული ტორონტოს ქართველ ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი თამარ ცინცაძე, წევრები მადი თაბაგარი, მაია ფურცხვანიძე, თამარ გვაზავა, თეა თოდუა, დიანა ირემაშვილი, ლალი ტლაშაძე. ფესტივალი ტორონტოში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების თავშეყრის ადგილად იქცა, ამავე დროს, მისი მეშვეობით, სულ უფრო მეტი კანადელი ეცნობა ქართულ კულტურას და ინტერესდება საქართველოთი.

საქართველოსა და ბრანდენბურგის მუსიკალური სკოლების პარტნიორობის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები

23-30 სექტემბერს, ქ. პოტსდამში, ბრანდენბურგ-საქართველოს საზოგადოების ხელმძღვანელის პავლე შპეტიშვილის ინიციატივითა და ორგანიზებით, საქართველოსა და ბრანდენბურგის მუსიკალური სკოლების პარტნიორობის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა.
ღონისძიების ფარგლებში, ქ. პოტსდამს ახალგაზრდა მუსიკოსთა ჯგუფი ეწვია საქართველოდან. მათ გამართეს საერთო რეპეტიციები გერმანელ კოლეგებთან. რის შემდეგ ბაბელსბერგში გაიმართა მუსიკალური სკოლების პარტნიორობის იუბილისადმი მიძღვნილი კონცერტი, ხოლო ბათუმის გოგონათა გუნდი საკონცერტო ნომრით წარსდგა რიბეკერის ბირნენ ფესტივალზე.
ვიზიტის ფარგლებში, ქართველმა მუსიკოსებმა მოინახულეს ბაბელბერგის კინოპარკი და დრეზდენის ზოოპარკი.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მიერ ევროპული ენების დღესთან დაკავშირებით რამდენიმე ღონისძიება გამართა

24 სექტემბერს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაში, საქართველოს საელჩოში გაიმართა ბერლინში მოღვაწე ქართველი ხელოვანის ხატი პოპის ნამუშევრების გამოფენა.
მხატვრის ნამუშევრებში ძირითადი აქცენტი სწორედ ქართულ ანბანსა და დამწერლობაზეა გაკეთებული. საღამოზე ასევე წარმოდგენილი იყო საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული ვიდეო-ინსტალაცია ქართული ენის შესახებ.

ტექნიკური ხარვეზის გამო, სექტემბრის „დიასპორულ ბიულეტენ“-ში ვერ გაშუქდა ინფორმაციები დიასპორულ ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე. შესაბამის სტატიებს, დაგვიანებით, ოქტომბრის თვის „დიასპორულ ბიულეტენ“-ში ვაშუქებთ.

ოქტომბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

დიასპორასთან ურთიერთობის

დეპარტამენტი

შ. ჩიტაძის ქ.4

თბილისი, 0118

ტელ:

(+995 32) 2945000

ფაქსი:

(+995 32) 2945001

ელ. ფოსტა

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia/

/MFA Geo

www.mfa.gov.ge



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო